

სალოგოზო ჟურნალი

1921 წელს

საბჭოთა
15
ნომერი
№ 126 (11612)
1990

სალოგოზო საბჭოთა-კომუნისტური ბაჟონი

ფანი 8 კაპ.


ისტორიული მნიშვნელობის



გუშინ, უზენაესი საბჭოს სდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს პირველი მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველმა სესიამ. 70 წლის განმავლობაში პირველად ერის ბედის გადასაწყვეტად შეიკრიბნენ ერის მიერვე არჩეული და მისი ნდობით აღჭურვილი ადამიანები. უმაღლესი საკრებულო დალოცა უწმინდესა და უნებარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელმაც საქართველოს უზენაეს საბჭოს გადასცა „ბიბლია“ და იერუსალიმიდან ჩამოტანილი და უფლის საფლავზე ნაკურთხი ამაღლების ხატი.

გუშინ ერთხელ იქნა არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ბატონი ჯვიად გამსახურდია.

დღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს.





პირველი პრაგმატიკის შესახებ



გვარამია ალექსანდრე

საპარტიალო „ეროვნული თანხმობის“ და „აღმართების“ კავშირის თავმჯდომარე (საპარტიალო პარტიის „მშვიდობა, თანხმობა, აღმართების“)

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა მიმდინარე წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ვადასებ როგორც ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკანასკნელი 70 წლის მანძილზე. რატომ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას? იმიტომ, რომ საბჭოთა სინამდვილეში პირველად გაიმარჯვა მოსახლეობის უმრავლესობის ნებამ, ერთი პარტიის მონაპოვია ძალაუფლებაზე მოსპობა, ხელისუფლების სათავეში ოპოზიციის მოვლენა. ესაა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. გამარჯვებით გამოწვეული იმავე მოსახლეობის ერთუნიანად შეიძლება სულ მალე იმედგაცრუებით შეიცვალოს და მან ზურგი აქციოს გამარჯვებულ ბლოკს, თუ კი ეს უკანასკნელი არ, ან ვერ შეასრულებს თავის წინასწარჩენილ პროგრამას და დაპირებებს. ამის საფრთხე კი არსებობს. ეს განპირობებულია იმ მძიმე მექანიზმებით, რაც მიიღო ახალმა ხელისუფლებამ და გამარჯვებულთა გამოუცდელი სახელმწიფო საქმეთა მართვაში.

საქართველოს ძირითადი ინტელექტუალური პოტენციალი პარლამენტის გარეთაა. გამარჯვებულებმა იგი აუცილებლად უნდა გამოიყენონ. ჩვენი ბლოკი — „მშვიდობა, თანხმობა, აღმართების“, „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ და კომპარტიის შემადგენელი ძემებით მესამე ადგილზე გამოვიდა. ეს დიდ გამარჯვებად მოგვაჩნია. დამარცხება, რომ არც ერთი დეპუტატი არ გვყავს უზენაეს საბჭოში. არჩევნების წინასწარი შედეგები გაგაანალიზეთ, ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი ბევრია. მათ შორისაა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღმართების კავშირის რაიონული რგოლების სისუსტე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრაციის უარის თქმა და სასამართლოში სირბილი და ყველაზე მთავარი — ლანძღვისა და ცილისწამების ის ალგორითმი, რომელიც კამპანია, რასაც თითქმის ყველა ბლოკი და პარტია ეწეოდა ჩვენი ბლოკის წინააღმდეგ მთელს წინასწარჩენილ პერიოდში. ამ „საქმეში“ თავისი „ღირსეული წვლილი“ შეტანა

„ახალგაზრდა ივერიელი“. ეს მისი კოლექტივის იმ წევრების და ავტორების სინდისზე იყოს, ვინც ჩვენ ყოველ დღე დაუბრუნებლად, უმიზეზოდ გვებრძოდა და გვლანძღავდა. საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღმართების კავშირი მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობისათვის არ შექმნილა. ბაზა მისი არსებობისათვის სოლიდურია. ესაა ის 80 ათასზე მეტი ამომრჩეველი, ვინც შეგვებულად მისცა ხმა ჩვენს ბლოკს. ვარაუდობთ მუშაობას. ჩვენს გვერდითაა ერის გარკვეული ნაწილი. კავშირი შეეცდებოდა თქვას თავისი სიტყვა.



ბიკა გვარამია

სტუ V კურსის სტუდენტი. ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ნებისმიერი დონის არჩევნებისას ხალხის მიერ ხმის მიცემა, მხარდაჭერა რომელიმე პარტიის,

ბლოკისა თუ კანდიდატისათვის, ალიქმება, როგორც შედეგი ნაფიქრალისა, ნაზრებისა. ასე მოხდა საქართველოშიც; ხალხი დაფიქრდა, გაიზარა ყოველივე, მაგრამ მხოლოდ იმისათვის აღმოჩნდა მზად (რაც ვფიქრობ, მაინც მოკლე ვადის ბრალია), რომ განეყოფა ერთი მოძრაობა და შვილი, ეროვნულ-პარტიოტული და კომუნისტურ-დესტრუქციული ძალები. შედეგად განვმარტოვალა ძალები: როგორც ჩანს, სულაც არ არის აუცილებელი მასების აბსოლუტური პოლიტიზირება სწორი ნაბიჯის გადადგმისათვის. ეს ქართველმა ხალხმა დაამტკიცა თავისი შესანიშნავი არჩევანით, იმით რომ მხარი დაუჭირა ეროვნულ მოძრაობას.

ახლა ენახოთ, ვინ არის გამარჯვებული. ხალხმა, რატომღაც, ეროვნულ მოძრაობად მიიღო მხოლოდ ერთი ბლოკი (გვლისხმობ ამომრჩეველთა უმრავლესობას). უფრო სწორად თუ ვიტყვი ჩემს საოქმედს, ხალხმა ხმა მისცა ერთ უფრო მეტს ველოდი. საქმე ისაა, რომ ჩემს წარმოდგენაში „თეთრი“ არ არის მხოლოდ ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“; თეთრი ფერს უნდა წარმოადგინა ერთგვარი სინთეზი რამდენიმე ფერისა. ეს მომენტი ხალხსაც უნდა გაეთვითცნობიერებინა. სხვა მხრივ, რა გამართობა შეიძლება მოიძებნოს იმ არანორმალური სიტუაციისა, როდესაც უზარმაზარი ინტელექტის მქონე პირთაგანია რჩებიან უზენაესი საბჭოს მიღმა... თუმცა ეს არამც და არამც არ აქნინებს იმ

უდიდეს შედეგს, მიღწევას, რაც 28 ოქტომბრის არჩევნებმა მოიტანა: კომუნისტურმა პარტიამ (ამასთანავე სხვა პროკომუნისტურმა ძალებმა) კრახი განიცადა.

კიდევ ერთი მომენტის გამო მიზნად გამოვთქვა ჩემი აზრი. როგორც ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების პროპორციული სისტემით მხოლოდ ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ და კომუნისტურმა პარტიამ შეძლეს უზენაეს საბჭოში ადგილების მოპოვება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მაინც იქნება მრავალპარტიული, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ბლოკში „მრგვალი მაგიდა“ გაერთიანებულია რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია. თუმცა, ჩემს აზრით, არის მრავალპარტიულობისა გასწავლად არა პარტიების, არამედ პოზიციებისა და პოლიტიკური შეხედულებების სიმრავლე. და როგორც ცნობილია, „მრგვალი მაგიდაში“ გაერთიანებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს აქვთ ერთნაირი, იდენტური პოლიტიკური სტრატეგია და შეხედულებანი, აქვთ ერთი საარჩევნო პლატფორმა. სასურველი კია პოლიტიკური პლურალიზმი.

დაბოლოს, მოდი, ვიმჯღელოთ, ვიკამოთოთ, ვწეროთ, ვიფიქროთ, ვამტკიცოთ, გავცხარდეთ კიდევ ჩვენი აზრის დაცვადად, ოღონდაც ვყოთ უფრო კოლექციური, უფრო შემწყნარებელი ერთმანეთის მიმართ... და ვეძიოთ ის უდიდესი კემპარტებანი, რომელთა ძიება ერთგვარი ნეტარებაა, როცა ეს გვეპირდება ჩვენ, როცა ეს ჰიკრება საქართველოს.

პოლიტოლოგია-მეცნიერება პოლიტიკის შესახებ

ჩვენი დროის დამახასიათებელი პროცესები — საზოგადოების დემოკრატიზაცია, ხალხის პოლიტიკური აქტიურობის ზრდა, პოლიტიკური პლურალიზმის დამკვიდრება, ერთი მხრივ, განაპირობებს სულ უფრო მზარდ ინტერესს მეცნიერებისადმი პოლიტიკის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ ქმნის ამ მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო პირობებს. დღეს სულ უფრო მეტად იგრძნობა პოლიტიკის შესახებ მეცნიერების პრაქტიკული საჭიროება. აქედან გამომდინარე, მეტი ყურადღება ექცევა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლას ამ მიმართულებით, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში ახალი დისციპლინის — პოლიტოლოგიის შემოღებას. ჩვენში პოლიტიკის შესახებ მეცნიერების ადგილი ათწლეულების განმავლობაში უკავია მის სტრუქტურას, წილის უპირველეს ამოცანასაც წარმოადგენდა სახელმწიფოს არსებული ხელმძღვანელობის „ბრძნული“ პოლიტიკის ქება-დიდება და არარსებული მიღწევების ხორცა. კემპარტების ძიება, საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ობიექტური კვლევა არასაურველი იყო, რადგან მას მოჰყვებოდა იდეოლოგიური მითრების მსხვერვა. საზოგადოებრივი მეცნიერება. ცხოვრებას მოწყდა, ატარებდა დეკლარაციულ-პროპაგანდისტულ ხასიათს და ძირითადად ფსევდო-პროპაგანდისტული მმართველი დოკტრინის და სქოლასტიკის ამის შედეგად ბევრი მნიშვნელოვანი თემა დღესათვის საცხებით შეუ-

სწავლელია, ან მხოლოდ ზედაპირულადაა განხილული. ამას ემატებოდა ისიც, რომ უკანასკნელ დრომდე პოლიტიკური მეცნიერება ე. წ. „ცენტრის“ მონაპოვად ითვლებოდა. რესპუბლიკები ელემენტარულად მოკლებული იყვნენ ამ მეცნიერების განვითარების პირობებს. არ შემოდიოდა და არსებობდა, დღესაც არ შემოდის დასავლური პოლიტიკური ლიტერატურა, მოკლებულნი იყვნენ მეცნიერული ანალიზისათვის აუცილებელი ინფორმაციას, საერთაშორისო კონტაქტებს. ყოველივე ამის მიზანი ის იყო, რომ რესპუბლიკების ხელმძღვანელობას თუ იქ არსებულ პოლიტიკურ ძალებს მსოფლიო ან რეგიონალური პოლიტიკურ სიტუაციის დამოუკიდებლად ორიენტაციის შესაძლებლობა წარუთმოდებდა და ამ მხრივ, მთლიანად „ცენტრზე“ ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. დღესათვის დასავლეთში პოლიტიკურ მეცნიერებას როგორც სამეცნიერო ცენტრების და სპეციალისტების რაოდენობით, ასე პუბლიკაციების რიცხვით მტკიცედ უკავია პირველი ადგილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის. პოლიტოლოგიურ გამოკვლევათა დასკვნებმა დიდი მნიშვნელობა შეიძინეს პრაქტიკული პოლიტიკისათვის. დიდი ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ მეცნიერების სწავლებასაც. პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბებას თან სდევდა დისციპლინის მისი საგნისა და კვლევის ობიექტის შესახებ. დღემდე არ არსებობს პოლიტოლოგიის საგნის საყოველთაოდ მიღებული განსაზ-

ღვრება. ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძირითადი თვალსაზრისი. პირველის მომხრენი პოლიტიკურ მეცნიერებას განსაზღვრავენ როგორც პოლიტიკური ინსტიტუტების შესწავლის სფეროს. მაგრამ სულ უფრო მეტ მომხრეს იქნის მეორე თვალსაზრისი — პოლიტოლოგიის საგნის გაგება, როგორც მეცნიერებისა პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ. პოლიტოლოგიის საგნის თაობაზე არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მკაფიოდაა გამოკვეთილი ის პრობლემები, რომელთა ერთობლიობაც შეადგენს პოლიტოლოგიის როგორც მეცნიერების კვლევის სფეროს: სახელმწიფო წყობა და მმართველობის სისტემა ისტორიული განვითარების კონტექსტში თუ რეალურ სოციალურ სინამდვილეში; პოლიტიკური ინსტიტუტები, მათი როლი და ფუნქციები; პოლიტიკური ცხოვრება და პოლიტიკური კულტურა; პარტიები, ჯგუფები და საზოგადოებრივი აზრი; საერთაშორისო ურთიერთობანი და სხვ. პოლიტიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრშია მოქცეული პოლიტიკური პროცესი, როგორც სხვადასხვა სოციალური ძალების ურთიერთქმედების შედეგი. პოლიტოლოგია როგორც მეცნიერება პარტულს რიგ საზოგადოებრივ ფუნქციებს — როგორც პრაქტიკულს, ისე თეორულს. ესენია: აღწერა-ანალიზით, ანალიტიკური ფუნქცია: ცდილობს აჩვენოს არსებული პოლიტიკური სინამდვილე, განსაზღვროს სა-


დოების წინაშე მდგარი ამოცანები; — ახსნითი ანუ დიაგნოსტიკური ფუნქცია: არკვევს ამა თუ იმ მოვლენის გამოწვევებს მიზეზებს, მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს; — პროგნოზირების ფუნქცია: ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე ადგენს პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ტენდენციებს მომავალში, ცდილობს განსაზღვროს, თუ როგორ შეიცვლება და როგორი იქნება პოლიტიკური სიტუაცია მომავალში. — ინსტრუმენტული, ანუ უტილიტარული ფუნქცია: განსაზღვროს, თუ რა კონკრეტული ზომები უნდა იყოს მიღებული სასურველი შედეგების მისაღწევად; — პოლიტიკური ცოდნის პოპულარიზაციის, გავრცელების ფუნქცია, თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ახსნა და კომენტირება, მოქალაქეთა აღზრდა გარკვეულ პოლიტიკურ ღირებულებათა სულისკვეთებით. დღეს, როდესაც აუცილებელია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის გარდაქმნა, მნიშვნელოვანი ამოცანები დგება ქართული პოლიტიკური მეცნიერების წინაშე. ის მოწოდებულია ხელი შეუწყოს საზოგადოების განხილვის პროცესს, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას. მან

უნდა შეითვისოს საზოგადოების დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურების ფორმირების მსოფლიო გამოცდილების მიღწევები. მნიშვნელოვანი იქნება მისი როლი პოლიტიკური კულტურისა თუ თანამედროვე პოლიტიკური აზროვნების ფორმირების საქმეში. მეცნიერება, რომლის განვითარებაც დიდი ხნის მანძილზე ფერხდებოდა საქართველოში, გარკვეულ ხელშეწყობას მოითხოვს. პირველ რიგში, აუცილებელია დასავლური პოლიტიკური მეცნიერების მიღწევების ათვისება. ამისათვის კი საჭიროა, ფართოდ შემოვიდეს დასავლური პოლიტიკური ლიტერატურა, ითარგმნოს სახელმძღვანელოები და ამ მეცნიერების ცნობილ წარმომადგენელთა ძირითადი ნაშრომები, მოეწვიოს მეცნიერები, ჩატარდეს სემინარები და ა. შ. საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების როგორც შემდგომი განვითარების, ისე სწავლებისათვის მისაშენწოდების იქნებოდა თბილისის უნივერსიტეტში პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნა.

განსაცხადება

ამა წლის 24 ნოემბერს, შაბათს, დღის 15 საათზე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის № 83 აუდიტორიაში სტუდენტთა ინიციატივით შედგება ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ციაცის დაშუქმებული კრება. ახალია ეს მხნად ისახავს პოლიტოლოგიის სპეციალობის პოპულარიზაციას და ამ ხანის საფუძვლიანი ათვისებისათვის ხელის შეწყობას; პოლიტოლოგიის, როგორც სამეცნიერო საგნის დამკვიდრებას უნივერსიტეტსა და საერთოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლიათ ეკავართონ მისამართით: 280028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 8, კორპუსი II, პოლიტოლოგიის კათედრა, ან დაგვიკავშირდით ტელეფონით: 22-54-86.

საინფორმაციო ჯგუფი.



მილოცვა

საქართველოს ფოტოკურნალი-სტა და კინემატოგრაფისტთა ერთიანი ასოციაცია გილოცავთ საარჩევნო ბლოკ „მრავალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველოს — და პირადად ბატონ ზვიად გამსახურდიას დიდ გამარჯვებას საქართველოს უზენაეს საბჭოს მრავალ-

ლაბრტულ არჩევნებში. გისურვებთ წარმატებებს საპარლამენტო საქმიანობაში ქართველი ერის საკეთილდღეოდ. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

თაბაჯ ბაიბურაძე,
საქართველოს ფოტოკურნალი-სტა და კინემატოგრაფისტთა ერთიანი ასოციაციის პრეზიდენტი.

20 ნოემბერს

თბილისის სახელმწიფო პანტომიმის თეატრმა მსოფლიოს უჩველად დადგმა „ფიროსმანი — მეფე“ და ამ დღეს შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხა საქართველოს ჰემოფილიისა და ღონისძიების ასოციაციის ანგარიშზე. ასოციაციის სამედიცინო პრაქტიკული კონფერენციის შემდეგ ჰემოფილიისა და ღონისძიების ასოციაციის საბჭოს წევრები სხვა მსოფლიო მრავალ ქვეყანაში დასწრებით სპექტაკლს, მათ თან ახლდათ სტუმარი უკრაინიდან — კიევის ჰემობოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მედიკოსი-თანამშრომელი მიხეილ სუხოვი, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, მან უკრაინის სისხლის სამსახურის სახელით კი-

კონტაქტები

ევში მიიწვია ასოციაციის სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები, რათა დაეხმარათ საქართველოს ანალოგიურ სამსახურს ისეთი ტექნოლოგიების დანერგვაში, როგორცაა მშრალი კრიოპრეციპიტატის დამზადება, ამ პრეპარატში და სისხლის პლაზმაში მერვე ფაქტორის ცილის რაოდენობის განსაზღვრა. ასევე ასოციაციის ორი პაციენტი მიიწვია თავის კლინიკაში ისეთი ოპერაციების ჩასატარებლად, რომლებიც დღესათვის საქართველოში არ ხერხდება სისხლის პრეპარატების უქონლობის გამო.

თინათინ ზაქარაიძე

გაპოიჩინათ გულმოდგინება

ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირს გადაწყვეტილი აქვს ავღანეთის ომის ვეტერანები და ინვალიდები, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სულ უფრო უარესდება, ხოლო დაზარალება ჩვენი სამკურნალო დაწესებულებებში ვერ ხერხდება, სამკურნალოდ და საპროტეზოდ გაგზავნოს საზღვარგარეთის კლინიკებში, რისთვისაც საჭიროა ვალუტა. ამჟამად დაყარებულია კონტაქტები და მიღებულია თანხმობა საზღვარგარეთის სხვადასხვა კლინიკიდან ჩვენი ბიჭების შეღავათიანი ფორმით მკურნალობაზე; მაგრამ იმის გამო, რომ ავღანე-

თის ვეტერანთა საქართველოს კავშირს არ გააჩნია ვალუტა, მოგმართავთ თხოვნით სახელმწიფო დაწესებულებების და ორგანიზაციების კოლექტივებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, გამოიჩინოთ გულმოდგინება და შეძლებისდაგვარად გაიღონ იგი ჩვენი ახალგაზრდობის გადასარჩენად. ჩვენი ანგარიშის ნომერია:

936430248, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ბანკი, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირს.

ინვალიდთა ახმა გულმოდგინება

ა. წ. 6 ნოემბერს სრულიად საქართველოს ღვთისმშობლის კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) ბაღდათის რაიონული ორგანიზაციის წევრებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ადგილობრივ მესვეურთა მხარდაჭერით, დაიწყეს ანანოვის სახლის-ვარციხეს სასტუმროს პიკეტირება. აქციის მონაწილეები მოითხო-

ვენ, რათა აღნიშნული სახლი — სასტუმრო უსასყიდლოდ გადაეცეს ღვთისმშობლის კავშირის ბაღდათის რაიონულ ორგანიზაციას იქ ღვთისმშობლის (ინვალიდთა) სახლის გახსნის მიზნით.

აქციის მონაწილეებმა სათაბალო წერილით მიმართეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს.

„კომუნისტური“ „ახალ საქართველო“

14 ნოემბერს გაზეთი „კომუნისტი“ ახალი სახელწოდებით გამოვიდა — „ახალი საქართველო“. როგორც სარედაქციო წერილში ვკითხულობთ, ის ამერიკიდან უკვე საპოლიტიკო და საზოგადო გაზეთი „იქნება, ის პირუთენელი ხარკი, რომელიც შეუღამაზებლად, მთელი ხიჯრებისგან წარმოაჩენს იმ მოვლენებს, ერის წიაღში რომ ისახება და ვითარდება“.

„ახალგაზრდა ივერიელის“ კოლექტივი, ულოცავს კოლეგებს სახელცვლას.

ა. წ. 10 ნოემბერი, შედგა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის გაფართოებული სხდომა, რომელშიც განიხილა შემდეგი საკითხები: საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების II ყრილობისათვის მზადება, საქართველოს ეროვნული კონგრესის II სხდომის დღის წესრიგი, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი დამოკიდებულების, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სტრუქტურულ-ორგანიზაციული მუშაობის ზოგიერთი მხარე, დარბაზის სხდომის ესწრაფობა თბილისის, ყვარლის, ქარტლის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, სოხუმის, გუგუთის და ზუგდიდის განყოფილებათა წარმო-

დგენლები. სხდომას უძღვებოდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი, საზოგადოების გაგრძელების განყოფილების ხელმძღვანელი ბ.ნი ჩონი ლატარია. ცალკეულ საკითხებზე დარბაზზე ინფორმაციები გააკეთეს: ჭუმბურ კობალოძემ; თამარ ჩხეიძემ, ტარიელ ღვინიაშვილმა და რაულ კუპრაძემ. აღნიშნულ საკითხთა ორგანიზაციული მხარეში მონაწილეობდნენ დარბაზის წევრები: დემურ ანთია, ზურაბ კვიციანი, გივი ლაშაშვილი, ნანა მჭედლიძე, თემურ ლომია და სხვები.

ბლოკს „მრავალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველო

ბატონო!
საქართველოს მწერალთა კავშირი გილოცავთ გამარჯვებას არჩევნებში, რომელიც პირველად გაიმართა ჩვენი ერის არსებობის მანძილზე.

თქვენი გამარჯვება ქართველი ხალხის არჩევანია, მისი უზენაესი ნების გამოხატულება. თქვენი გამარჯვება იმ ოცნების აღსრულების დასაწყისია, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე ელოდიან ქართველები. ამ ოცნებას თავისუფალი, დემოკრატიული, კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის საფუძვლებზე აგებული საქართველო ჰქვია.

მტკიცედ გვნანს, რომ მთელ თქვენს ძალასა და უნარს, თქვენს გამოცდილებასა და გამჭრიახ პოლიტიკურ აზროვნებას სწორედ ასეთი საქართველოს შექმნას მოახმაროთ. კარგად გვგსმის, თუ როდენ დიდ ტვირთს იტვირთებთ მხრებზე, რა ბუნების ხიდებზე მოგინებთ გავლა, რამდენი ობიექტური თუ სუბიექტური დაბრკობა გადაგვალბობათ წინ, რამდენი „მოყვარე“ მტერი მოინდომებს

თქვენი წინდათანინდა სურვილის ჩაშლას. გვეჯერა, რომ სამშობლოს სიყვარული, „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტოვანი“ ქვეყნისათვის თავდადების სურვილი ყველა წინააღობას გადაგვალბავს და ალტერნატიული მიზნამდე მიგაღწევინებთ.

ძალიან გვინდა გვეჯეროდეს, რომ ამ სასურველი ოცნების მიღწევის გზაზე მხარში ამოვიდგებიან იმ პარტიებისა თუ ბლოკების წარმომადგენლებიც, რომლებიც თქვენთან ერთად იქნენ არჩეულნი უზენაეს საბჭოში.

ძალიან გვინდა გვეჯეროდეს, რომ გამოინახება გზები და საშუალებები უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის პოზიციების დასახლოვებად, რადგანაც როგორც თქვენ, ისე კონგრესის ლიდერებმაც შესანიშნავად უნციოთ: როდესაც სამშობლოზე, მის ხსნაზე, მის ბედას თუ უბედობაზეა ლაპარაკი, ყოველგვარი პარტიული ინტერესები უკან უნდა დაეყენოთ, ხელები დავიკაშიროთ და ერთად, მხარდახმარ ვაშენოთ თავისუფალი საქართველო.

რაც შეეხებათ ქართველ მწერლებს, არც ისინი დარჩებიან ვალში და საქმით, ჭეშმარიტი საქმით დაამტკიცებენ, რომ ღირსეული შვილები არიან ღვთისმშობლის ნილხვედომილი ქვეყნისა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დიდ გამარჯვებას, გისურვებთ მთელი მსოფლიოსათვის დაგენახებინოთ, რომ ჯერ კიდევ არ ჩამკვდარა ქართველი კაცის სული, გონიერება, შორსმჭვრეტელობა, სიფიზილე, სიფრთხილე, გამბედაობა, ვაჟკაცობა, შემწყნარებლობა, მოყვანის სიყვარული...
ახლა, როცა მთელი საქართველო სასოებით შემოგყურებთ, ეჭვიც არ გვეპარება, რომ ახლად არჩეული პარლამენტი ყველა ამ თვისებას გამოავლენს და ღირსეულად იმოღვაწეებს სამშობლოს სასიკეთოდ.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

საპარტიულოს მენარაღთა აკაპირი.

თუკი მის მშობლიურ მიწაზე

მშობლიურ ქალაქში აუკრძალეს გამოსვლა? ლაპარაკია შიდა ქართლში ე. წ. სამხრეთ ოსეთში, გამოივალ ქართულ ვაზეთ „საბჭოთა ოსეთზე“, რომელსაც კოლექტივის საერთო გადაწყვეტილებით სახელი გამოეცვალა და „ჩვენი სამკვიდრო“ ეწოდა. ვაზეთს დევნიცი დროის, იქაური ქართველების, საერთოდ ყველა ქართველის განწყობილების გამოხატულება შეერჩა: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“. მაგრამ გვეცილება და შერე ვერ?

31 ოქტომბრიდან საქართველოს გამსახკომის ცხინვალის სტამბაში დასაბეჭდვად გამზადებული დევის ამავე კომიტეტის მიერ რეგისტრაციამ გატარებული „ჩვენი სამკვიდროს“ პირველი ნომერი და ჯერჯერობით ამაოდ ელის დღის სინათლეს. და ეს სწორედ იმ სტამბაში ხდება, სადაც იმავე 31 ოქტომბერს გრაილ-გრაილით დაიბეჭდა „ადამონ ნინასის“ დანაშაულებრივი იდეებით (ნასაზრდოები „ირონ გაზეთი“-ი (ოსური გაზეთი), რომელიც ყველაფერთან ერთად, სა-

სადა დაეპიღვდა „ჩვენი სამკვიდრო“?

ქართველს გამსახკომის გვერდის ავლით, ცხინვალის საქალაქო საბჭოში გაუტარებიათ რეგისტრაციამ. მოკლედ, ამაზე იტყობა კაცი, მარჯვენამ არ იცის, რასა იქმს მარცხენა... მაგრამ... საქმეც ისაა, რომ იცის... ყველამ ყველაფერ იცის! „ახალგაზრდა ივერიელი“ 10 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის მიმართვა საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებისადმი, სადაც კატეგორიულადაა ნათქვამი, რომ მათ ყოველმხრივ უნდა უზრუნველყონ „ჩვენი სამკვიდროს“ გამოსვლა, რომელმაც თავი დააღწია თვითმარტვი, უკანონო „სამხრეთ ოსეთის“ დემოკრატიული საბჭოთა რე-

სპუბლიკის“ (?!). ე. წ. დროებითი კომიტეტის გამგებლობას, და თავისუფალ ვაზეთად გამოცხადდა. რათა ასევე თავისუფალი, მართალი ქართული სიტყვა მიუტანოს „საბჭოთა ოსეთისათვის“ სახელის შეცვლის ერთ-ერთ პირველ ინიციატორს — შიდა ქართლის ქართველ მოსახლეობას მაგრამ...

დრო გადის, „ჩვენი სამკვიდრო“ კვლავ პატიმრობაშია, მისი კოლექტივი გაფიცული და საზოგადოებრიობა აღელვებულია. საქმე კი ანგლიდან მიიწე იძვრის.

ვის ამღვებს ეს ხელს? იქნებ იმისაც დღედღამ შიდა ქართლში არსებული ისედაც რთული მდგომარეობის კიდევ მეტად ვიწვევაება ელანდება?..

ამიერკავკასიის სამხედრო ოქმის გენერალ-პოლკოვნიკ პატრიკიძის

1989 წლის 9 აპრილს თბილისში ქიმიური იარაღით მოწამვლის შედეგად, რომელიც არმიაში გამოიყენა, ამერიკაში სამკურნალოდ უნდა გაიგზავნონ შემდეგი მოქალაქეები:

1. ზინაიდა გურამის ასული ქასრაშვილი, 22 წლის. დიაგნოზი: ქიმიური და სხვა ნივთიერებებით მწვავე მოწამვლის შედეგად ნარჩენი მოვლენები, ტოქსიკური ენცეფალოპათია, ნევროზული მდგომარეობა, ბრონქიალური ასთმა (ატოფიური ფორმა) I სტადია. საშუალო სიმძიმის მიმდინარეობით, მარჯვენა მხარის ფეოხრომოციტის ნეიროციტულიარული დისტონია კარდიალური ფორმის, გულის

ავზნებადობის დარღვევა, ექსტრასისტოლოგიური არითმია.

2. ინგა დემურის ასული რუხაძე, 19 წლის. დიაგნოზი: მწვავე ლეიკოზი. ქიმიური და სხვა ნივთიერებებით მოწამვლის შემდეგამი მდგომარეობა. სიეტლის საუნივერსიტეტო კლინიკისთან მულტარაქების თანხმად ი. რუხაძის მკურნალობის სახსრები შეადგენს 195 ათას ამერიკულ დოლარს. ზ. ქასრაშვილის სამკურნალო თანხის სარიტეტაციო რაოდენობა 100 ათასი ამერიკული დოლარია.

ამრიგად, ორივე პაციენტის სამკურნალო ხარჯი შეადგენს დაახლოებით 295 ათას ამერიკულ დოლარს.

ვინაიდან ზემოთხსენებული პაციენტების დაავადებაში დამნაშავე არის არმია, რომელმაც მათს წინააღმდეგ გამოიყენა ქიმიური იარაღი (თანაც მკურნალ ექიმებზეც აცნობა მისი შემადგენლობა). საქართველოს სახალხო ფრონტის თვისი, რომ მკურნალობის თანხები უნდა გადაიხადოს არმიამ, გთხოვთ, პაციენტების მკურნალობისთვის მათს მშობლებს გადაუხადოთ ეს თანხა.

თუ ამ საკითხის გამო საქართველოში ამერიკის სახალხო ფრონტის ოლქში კი არა, არამედ სსრკ თავდაცვის სამინისტროში გთხოვთ, გვაცნობოთ შესაძლებელია 380009, თბილისი, ყაზბეგის ქ. № 17, საქართველოს სახალხო ფრონტი.

ნოდარ ნათაძე
საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში

დღევანდელი სხდომას უძღვებოდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის წევრი, საზოგადოების გაგრძელების განყოფილების ხელმძღვანელი ბ.ნი ჩონი ლატარია. ცალკეულ საკითხებზე დარბაზზე ინფორმაციები გააკეთეს: ჭუმბურ კობალოძემ; თამარ ჩხეიძემ, ტარიელ ღვინიაშვილმა და რაულ კუპრაძემ. აღნიშნულ საკითხთა ორგანიზაციული მხარეში მონაწილეობდნენ დარბაზის წევრები: დემურ ანთია, ზურაბ კვიციანი, გივი ლაშაშვილი, ნანა მჭედლიძე, თემურ ლომია და სხვები.

უზენაესი საბჭოს საარჩევნო კამპანიის დამთავრებასთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება გამოიღოს საარჩევნო ბლოკ „დემოკრატიული საქართველო“.

დარბაზში იმსჯელა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების უზენაესი საბჭოს არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამის თაობაზე დარბაზმა შეიმუშავა განცხადება, სადაც ნათქვამია: „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ თავისი დამოკიდებულება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არ-

ჩვენებისადმი არაერთხელ გამოხატა. (იხ. გაზეთი „ივერიის“ № 25, ეროვნული კონგრესის I სხდომის მასალები). მიუხედავად ამისა, საზოგადოებას თავის მოვალეობად მიიჩნია საბჭოთა ორგანოში გარკვეული ოპოზიციის შექმნა. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ნათელი გახდა, რომ რეალური მრავალპარტიულობის განხორციელება უზენაეს საბჭოში არ მოხერხდა. შექმნილი ერთფეროვნების დარღვევა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას არც შესაძლებლად მიუძღვნა და არც სასურველად. ამ-

ტომ იგი უარს ამბობს არჩევნების შემდეგ ტურში მონაწილეობაზე (იმავე საღამოს ეს განცხადება გადაიცა საქართველოს ტელევიზიით). დარბაზმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დევალა საზოგადოების II ყრილობისათვის მისამზადებელი სამუშაოების ჩატარება. სამუშაო ჯგუფს დევალა საზოგადოების შემდეგი დარბაზისათვის მთელი რაგი წინადადებების შემუშავება. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების შემდეგი დარბაზის სხდომა გაიმართება 1 დეკემბერს.

კონკრეტული პასუხი-დაცხადეთ!

ერთი ნაბიჯი პოლიტიკურ სანდალად

გუშინ რედაქციაში გვეწვია პოლანდიის ფირმა „აგრიკოს“ ინჟინერ-ავტონომი პანს ჰელინგი, პოლანდიელი ფერმერი იან მაინვერი და თავიანთი საქმიანობის შესახებ მოგვითხრეს. საქმიანობა კი ჩვენთან, საქართველოსთან მათ არცთუ ისე დიდი ხანია დაიწყეს. „აგრიკოს“ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი ფირმაა. მათ კონტრაქტი აქვთ გაფორმებული ქარხანა „დიატომიტან“, რომელსაც თიანეთის რაიონში აქვს მიწა იჯარით აღებული. ფირმამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ წარმატებისათვის მიეღწია. მიადგინა კიდევ ერთი შექტარზე 35 ტონაზე მეტი კარტოფილი მიიღო. დაგვეთანხმებით, ეს არც თუ ურიგო მაჩვენებელია მერვე ფირმამ „ბეიო ზადენ“-მა კი ხახვის უხვი მოსავალი მოიყვანა.

და აი, დადგა საქმე შრომის ანაზღაურებაზე. ქარხანა „დიატომიტან“, კერძოდ კი მისი დირექტორი, ბატონი თემურ თოთბაძე, როგორც ჩვენი სტუმრები ამბობენ, გაურკვეველი მიზეზით აქიანურებს კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის გადახდას. ფირმა „აგრიკოს“ და „ბეიო ზადენ“-ი იმდენად პრესტიჟულია მსოფლიოში, თავისუფლად შეუძლია, სრულიად მართებულიად, პოლიტიკური სანდალი აგვიტეხონ. სჭირდება კი საქართველოს ასეთი სანდალი? რას ფიქრობს ამის შესახებ ბანი თემურ თოთბაძე?

— რამდენიმე წელია, რაც „აგრიკოს“, — ჩვენი ფირმა მუშაობს საბჭოთა კავშირში, — გვითხრა პანს ჰელინგმა. „აგრიკოს“-ის როგორც, რა გზით აწარმოოს საქმე, ბიზნესი და ყველა ფორმალური მხარეები კონტრაქტთან დაკავშირებით, რაღაც პრობლემების გამო, რომლებიც წამოიჭრა საგარეო ბანკში, ბანკმა უარი თქვა გარანტიის გამოგზავნაზე. ჩვენ ეს საკითხი მოვახსენებ ჩვენს წარმომადგენლობას მოსკოვში. შემიძღვეს ვისაუბრებ ამ საკითხზე ბატონ თოთბაძესთან და გავითვალისწინებ ისიც, რომ საქართველოს, ქართველ ხალხს, კარგი ურთიერთობა აქვს პოლანდიელ ხალხთან, პოლანდისთან. ვენდებ თემურ თოთბაძეს, ვენდებ სიტყვებზე და დავიწყებ ჩვენი საქმიანობა.

მუშაობის დროს, ზაფხულში, ბევრი პრობლემა გვქონდა ტექნიკასთან და მუშახელთან დაკავშირებით. „აგრიკოს“ სიტყვა არ გაუტეხავს, ყოველთვის ცდილობდა

როდესაც ჩვენ მას ვუკავშირდებოდით ტელეფონით აუ სხვა არხებით ძვირფასი გვეუბნებოდა, რომ ერთი თვის მოცდა კიდევ მოგიწევთ. და ბოლოს, კი მან გამოგვგზავნა ტელეფონი, რომელშიც იგი გვპირდებოდა, რომ თანხა დაიფარება პირველ ნომერამდე. თუმცა, რატომღაც დღემდე ერთი პოლანდიური გულდენიც კი არ მიგვიღია. და ამ გარეგნის შემდეგ „აგრიკოს“ და „ბეიო“ აღმოჩნდა სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე. ჩვენ იძულებული ვართ ვანვეწყით დიდი პოლიტიკური სანდალისათვის. აგრიკოს ურთიერთობა აქვს მოსკოვის ზემდგომ ორგანოებთან და აგრეთვე ზოგიერთ ორგანიზაციასთან საქართველოში. თუ ეს ასე გაგრძელდა, საქართველოზე ორმხრივ ეფექტს მოახდენს ეს პრობლემა. შეიძლება ჩვენს გამო საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს საქართველოს დამოუკიდებლობა, ვინაიდან ჩვენ იძულებული ვიქნებით ყველას ვაუწყოთ ამის შესახებ და ისინი აღიქვამენ ისე, რომ საქართველო არ არის მზად ჩვენთან ურთიერთობისათვის, საერთოდ უცხოეთის ფირმებთან სამუშაოდ. და მერვე მხრივ ეს გამოიწვევს ძალიან დიდ შეფერხებას საქართველოს სავაჭრო ურთიერთობაში დანარჩენი სახელმწიფოებთან. „აგრიკოს“ ერთ-ერთი ცნობილი, ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, ფირმა მსოფლიოში, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, ხელი მივიწვევებ, რომ ბიზნესთან დაკავშირებულ ყველა ეურენალ-გაზეთში მივცეთ ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ ამასთანავე, მე დავამატებდი, რომ არავითარი სურვილი არა გვაქვს

დიდი სანდალი და აურზაური აგტეხოს, გვიანდა, საქმე წყნარად მოგვარდეს, ისე არ გავგვივით, თითქოს პირდაპირ ქართველ ხალხს ვუტყვევებ. არა, ჩვენ არ გვინდა საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭება. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე ჩვენ შესაძლებელია, გავხდეთ იძულებული, რომ მივმართოთ ასეთ ზომებს.

— ბატონო პანს, იქნებ კონკრეტულად გვითხროთ, ამ კონტრაქტში ვინ რა დაარღვია?

— კონტრაქტი რომ დაიდო, გავთვალისწინებულ იყო 45 დღის განმავლობაში თითბაძეს წარედგინა საგარეო ეკონომიკური ბანკის გარანტია თანხის დაფარვით. ბანკმა არ მისცა თითბაძეს გარანტია. თუმცა ამ დროს კონტრაქტი უკვე დაიდებული იყო. საქმიანობაც დაწყებული იყო. ამიტომ „აგრიკოს“ და „ბეიო“ ენდო თითბაძეს ბანკის გარანტიის გარეშე და განაგრძეს მუშაობა.

— თვითონ რაიონში, თიანეთის რაიონის ხელმძღვანელების მხრიდან ხომ არ ყოფილა კონტრაქტის უზღვევებელი ფაქტორი?

— რაც შეეხება ამ სამას ჰექტარ მიწას, რამელიც გამოყოფილია თიანეთის რაიონში, იგი აღებული აქვს ქარხანა „დიატომიტან“, რომლის გენერალური დირექტორია ბატონი თემურ თოთბაძე. ეს ტერიტორია ქარხნისათვის თითბაძე ამბობს, რომ მიზნად ჰქონდა გარტოფილი მოყვანა ისეთ რაიონებში, სადაც არ სულ არ მოჰყავდათ, ან ცოტა მოდიოდა. შედეგები მართლაც დიდი მივიღეთ. ჰექტარზე მივიღეთ 35 ტონაზე მეტი კარტოფილი. ეს თითქმის ხუთჯერ მეტია იმაზე, რაც იქ მოდიოდა. ამასთანავე, ჩვენი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, ფირმა მსოფლიოში, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, ხელი მივიწვევებ, რომ ბიზნესთან დაკავშირებულ ყველა ეურენალ-გაზეთში მივცეთ ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ ამასთანავე, მე დავამატებდი, რომ არავითარი სურვილი არა გვაქვს

ლი გაცილებით მეტი იქნება. კერძოდ კი, ჰექტარზე საშუალოდ 50 ტონა კარტოფილს მივიღებთ.

— კონტრაქტი რამდენ ხნის ურთიერთობას ითვალისწინებს?

— ჩვენ ერთწლიანი კონტრაქტი გვაქვს.

— ეს იგი, ამასთან დაკავშირებით თუ სანდალი ატყდება...

— ფაქტობრივად ყოველგვარი ასეთი საქმიანობა-ურთიერთობა შეწყდება პოლანდიის ყველა ფირმასთან და არამართო პოლანდიის ფირმებთან.

— ბატონო პანს, რა როლდენობის წარალი მიიყვანა ამ „გაურკვეველმა“ ურთიერთობამ „აგრიკოს“ და „ბეიოს“?

— ზარალი რა სათქმელია, როცა ყველაზე მთავარი — ფირმების პრესტიჟი ილახება, გამოდის, რომ პარტნიორი, რომელიც არ გიხდის თანხას, უკმაყოფილოა. ეს კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენს პრესტიჟს.

— პარტნიორი კონკრეტულად რა პასუხს იძლევა?

— კონკრეტული პასუხი — დაცხადეთ!

— როდემდე?

— ვილა ოთხჯერ გადაიწია, ბოლოს კი პირველი ნომერი იყო ბოლო ვილა, თუმცა, როგორც ხედავთ, ალბათ, დაბრუნდა კიდევ იქნება, მაგრამ საქმე?

— ასეთ შემთხვევაში კონტრაქტით გათვალისწინებული ეკონომიკური ხარჯები?

— კონტრაქტში ჩვენ საერთოდ არ ვითვალისწინებთ პროცენტის მომატებას, რადგან ვენდობით პარტნიორს, რომ გადაიხდის. კონტრაქტში არ არის გათვალისწინებული, რომ პარტნიორი, არ გადაიხდის, ვინაიდან ასეთი რამ არსად არ ხდება.

— ამჯერად, თუკი გადახდილი იქნება აღნიშნული თანხა „აგრიკოს“ გააგრძელებს ურთიერთობას ჩვენთან?

— ამდენი გაუიანურების შემდეგ, თუკი თანხა გადახდილი იქნება რაც შეიძლება მალე, კვლავ გავაგრძელებთ საქართველოსთან საქმიან ურთიერთობას.

საუბარი ჩაიწერა
განს. ზინზარაშვილმა.

განცხადება

ნევროზით, რადიკულიტით, ბრონხიტით, თავის ტკივილებით, ნაღვლის ბუშტის ანთებით, სახსრების დაავადებებით, გასტრიტით და სხვა მსგავსი დაავადებების მქონე ავადმყოფებს სამკურნალოდ მიიღებს საქართველოს ფიზიკულთერპის ინსტიტუტთან არსებულ ჯანმრთელობის ცენტრში. ექიმი დოდო ლოლობერიძე, რომელიც დიპლომირებულია

ლოია ჯუნა დაეთაშვილის სამეცნიერო ცენტრის მიერ, მკურნალობს ბიოენერგოთერაპიული მეთოდებით. მასვე შეგიძლიათ მივაკითხოთ ბავშვთა ენერგოთა და წყლულოვანი (საწყისი სტადიაში) დაავადებების სამკურნალოდ.

მისამართი: ჭავჭავაძის № 49, 11 სართული;

ტელეფონი: 29-37-64, 29-37-65.

ვიზაჰის

თუ დაგვირდით ვიზების თარგმანა, ქსეროასლების გადაღება და ანკეტები საზღვარგარეთ გასაგზავნებლად, მიმართეთ კოოპერატივ „მთარგმნელს“ თქვენთვის მოსახერხებელ მისამართებზე:

1. გურჯაანი, ლენინის ქ. № 8. (მხარეთმცოდნეობის მუზეუმი)
2. გურჯაანის რაიონი სოფ. კაქრეთი სოფ. საბჭოს შენობა

სათარგმნელად

3. ქ. რუსთავი ფალაშვილის ქ. № 14

№ 4 საბინაო-საექსპლუატაციო უბანი — 124413.

გეგმობით 10-დან 17 სთ-მდე, დასვენების დღეები კვირა — ორშაბათი.

30საგ გსურთ ვიზებისა და სხვა დოკუმენტების სწრაფი თარგმანა მიმართეთ კოოპერატიულ ფირმა „დონოსს“.

მისამართი, ლესელიძის ქ. № 29. ფირმა მუშაობს ყოველ დღე 10 ს. — 18 საათამდე, კვირის გარდა.

ვიზების სათარგმნელად

გუზოვთ, მიმართეთ კოოპერატიულ ფირმა „ზევსს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმანა ხდება ერთ დღეში, გუზოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ. მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 3.

გაგულიშვილი!

გოგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პრესის გაქვირებაზე გამოიწვია გაზეთებზე ხელმოწერაზე სამართ. რისთვის მკვეთრი უპასურობა. ჩვენ ვითვალისწინებთ არსებულ პოლიტიკურ-სოციალურ სიტუაციაში მოსახლეობის ნაწილის გატარებაზე ხელმოწერას, მაგრამ, პროვინცი-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ვსურს ვაპაქითონ შეგვადგიო განცხადება: ჩვენი თხოვნაა ხელმოწერაზე რიცხვი არ უმცირდეს გაზეთებზე „თბილისსა“ და „ახალგაზრდა ივანიშვილი“, რადგან უაანგაქნელ განაგზი ამ ორმა გაზეთმა თავისი გაგადავი დაუთმო საპატრულოდ პროვინცი-განათავის უფლებადი მოქაროვის მიმდინარეობის გაუქმებას, რითაც დიდი ფაქტორი შეიქმნა პატრუალი ხალხის პროვინცი-პოლიტიკური თვითშეგნების აღმავლობის საშვილი.

საქართველოს კ. ც. ახ. სტაბა 38096, თბილისი-38, შ. კობახაძის ქ. № 14, აბეგებთა ოფისური წახო ხაგვათა კარბუნა, სოფარულას № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш индекс 68400

უკადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა ივანიშვილი“ და საბავლიშვილო პროგრამა „ილუზიონური“ რეკლამები უბავილიათ შეუკვეთით ტელეფონზე: 87-58-25; მისამართი: ბუდაბაშვის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე).

ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო

Обществено - политическа младежка газета „Ахалгазрда Ивериеლი“

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-58; წერილების განყოფილება — 98-90-49.

გაზეთი გამოდის კვირასი საგზავნო საშუალებით, ხელმოწერა, რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი ვერა პალარკიშვილი

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096. შ. კობახაძის ქ. № 14.